ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #252

ქ. სიღნაღი 08 დეკემბერი, 2015 წელი

ერთი მხრივ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი - გამგებლის დავით ჯანიკაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს ,, ბილდ ინდუსტრი'' (შემოდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი - გიორგი გოგიტიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – (გამარტივებული) ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: ქ. სიღნაღში, ,,მოსაშვილის'' , ,,წმინდა გიორგის '' და ,,მოსულიშვილის'' ქუჩებზე დაზიანებული გზის საყრდენი კედელების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზიანებული გზის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოთა მოცულობები განსაზღვრულია მოცულობების უწყისში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოთა შესრულება და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 117 600.00 (ასჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება წარმოადგენს სამუშაოთა მოცულობითი უწყისით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებას.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვალუტა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიღება ჩაბარების აქტის და შეძენილი საქონლის ანგარიშ - ფაქტურის წარმოდგენიდან 20 დღის განმავლობაში.

4.3. საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენება სახელშეკრულებო თანხის 30% -ის ოდენობით, საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

5. ფასები

5.1. „3.1" შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომლის შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

5.2. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების და მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამით იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

6. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

6.1. შესყიდვის ობიექტია: ქ. სიღნაღში, ,,მოსაშვილის'' , ,,წმინდა გიორგის '' და ,,მოსულიშვილის'' ქუჩებზე დაზიანებული გზის საყრდენი კედელების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოცულობითი უწყისის შესაბამისად.

6.2. კლასიფიკატორის კოდი : 452000000

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას ახორციელებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.2. სამუშაოების ადგილი ქ. სიღნაღი

8. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.2. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

8.2.1. ბადურ მილაშვილი

8.2.2. ნოდარ კორახაშვილი

8.2.3. ნოდარ ბაკაშვილი

8.2.4. ბორის ინაშვილი

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი, თავისი ბრალეულობით გამოწვეული, ყველა დეფექტის ან ნაკლის

აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება,

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.2.2. დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

9.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.3.1.მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.4.1. გაწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და შესაბამისი მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

9.4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შეასრულოს შემსყიდველის მოთხოვნით მომზადებული პროექტისა და ხელშეკრულებაზე დართული სამუშაოთა მოცულობების უწყისის შესაბამისად.

9.4.3. პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ოთხი ეგზემპლიარი, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით - მოცულობითი უწყისები წარმოდგენილ იქნეს, xls, xlsx. doc ან docx ფორმატით, ხოლო ნახაზები pdf ან jpg ფორმატით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.2 საჯარომო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი მოვალეობის შესრულებისაგან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3 შემსყიდველს ასევე უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და აღნიშნულს აქვს სისტემატიური ხასიათი;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს 10%-ს;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 დაუძლეველი ძალა ეს არის ის გარემოება, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნდა წინასწარი გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წაინააღმდეგ შემთხვევაში მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პროცესში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი

წარდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

14.5 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.

14.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი ინახება მიმწოდებელთან, სამი - შესყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელმოწერა უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე.

14.7 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შპს ,,ბილდ ინდუსტრი"
ს/ნ.: 240417223 მის.: ქ. სიღნაღი, აღმაშენებლის 2	ს/ნ.: 206270248 მის.: ქ. თბილისი, ხახანაშვილის ქ. N11
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი'' ს/კოდი LBRTGE22 ა/ნ GE61LB0120181425606003	ს.ს ,,ბანკი ქართუ'' ბ/კოდი CRTUGE22 ა/ნ GE44CR00000000003783605
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /დ. ჯანიკაშვილი/	დირექტორი: / გ. გოგოტიშვილი/